18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვთა ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარება

პროგრამის მართვა:

პროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვების (და რომელთაც 2024 წელს უსრულდებათ 18 წელი) ოჯახები და მარტოხელა მშობლები.
დახმარება გაიცემა წელიწადში ერთჯერადად, თითოეულ ბავშვზე – 250 ლარის ოდენობით.

საჭირო დოკუმენტაცია:

ა) დახმარების მიმღების (მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის) პირადობის მოწმობა;
ბ) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობები;
გ) მშობლის (მშობლების) გარდაცვალების მოწმობა ან მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
დ) დახმარების მიმღების პირადი ანგარიში ბანკიდან.